საკვლევი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით, მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების ს.ნ და წ 1.02.07-87 და პ.ნ 02.01-08 მოთხოვნების გათვალისწინებით, დასაპროექტებელი სასტუმროს შენობის კონტურის ფარგლებში, ხელით, გაყვანიული იქნა ოთხი (№№1-4) შურფი, სიღრმით შურფი №1-9.0 მეტრი, შურფი №2-7.0 მეტრი, შურფი №3-6.0 მეტრი, ხოლო შურფი №4-5.00 მეტრი, საერთო მეტრაჟით-27.0 გრძივი მეტრი.

შურფების სიღრმე განპირობებულია ძირითადი ქანების წოლის სიღრმით.

სამუშაოების დამთავრების შემდეგ შურფები ლიკვიდირებულია ამონაყარი გრუნტით.

ლაბორატორიული შესწავლისათვის, თიხოვანი გრუნტიდან და გამოფიტული ძირითად ქანებიდან, აღებულია გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 11 ნიმუში (მონოლითი), რომლის კვლევის შედეგებიც თან ერთვის წინამდებარე დასკვნიას კრებსითი ცხრილის და ძირითადი ქანების გამოცდის სამუშაოს ანგარიშის სახით.

ძირითადი ქანების ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის, ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის საგამოცდო ლაბორატორიაში (აკრედიტაციის მოწმობა $G \quad -T \quad -0071$).

ტოპოგეგმად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპოგეგმა მასშტაბით 1:500-თან.

საველე სამუშაოები ჩაატარა და წინამდებარე დასკვნა შეადგინა ინჟინერ გეოლოგმა ბესო დევდარიანმა.

საკვლევი უბნის საზღვრებია:

- ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან - კერძო ნაკვეთები ერთ და ორსართულიანი შენობა ნაგებობებით;

- დასავლეთიდან - ბოლო აღმართის (ამაღლობელის ქუჩა).

გეომორფოლოგიურად საკვლევი უბანი წარმოადგენს მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის II ჭალისზედა ტერასის სამხრეთ პერიფერიულ ნაწილს, სადაც ტერასული ნალექები ხშირად ცალკეულ ფრაგმენტულ გავრცელებით ხასიათდება და განლაგებულია ტერასის კლდოვან ცოკოლის დენუდირებულ ზედაპირზე.

საკვლევი უბნის რელიეფ თითქმის სწორია, ტექნოგენურია, ოდნავ დახრილია ჩრდილოეთისაკენ, რელიეფის ნიშნულები საკვლევი უბნის ფარგლებში, მერყეობენ 487.90-488.40 მეტრის დიაპაზონში. საკვლევი უბანი გაუნაშენებელია.

საკვლევ უბანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, რაიმე უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ შეიმჩნევა.

პ.ნ 01.05-08-ის "სამშენებლო კლიმატოლოგია" თანახმად, საკვლევი უბნის ძირითადი კლიმატური მახასიათებლები შემდეგია:

- წლის საშუალო ტემპერატურა - $+10.8^0C$;
- ტემპერატურის აბსოლიტური მინიმუმი - -24^0C;
- ტემპერატურის აბსოლიტური მაქსიმუმი - $+38.0^0C$;
- ნალექების რაოდენობა წელიწადში - 635 მმ;
- ქარის უდიდესი სიჩქარე 20 წელიწადში ერთხელ - 29.0 მ/წ;
- ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ - 0.30კპა; 15 წელიწადში ერთხელ -0.48 კპა;
- ქარის გაბატონებული მიმართულება - ჩრდილო-დასავლეთის;
- თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი - 21;
- გრუნტის სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე:

თიხოვანი გრუნტისათვის -18 სმ.

მსხვილნატეხოვანი გრუნტისათვის - 27 სმ.

ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემების მიხედვით შედგენილია გეოლოგიური გამონამუშევრების სვეტების და უბნის განივი და გრძივი ლითოლოგიურ-გეოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, მიწის ზედაპირიდან 1.50-5.60 მეტრის სიღრმიდან, გამოკვლეულ 5.0-9.00 მეტრის სიღრმემდე გავრცელებულია ზედა ეოცენური (P_2^3) ასაკის ძირითადი ქანებით, წარმოდგენილი თხელშრეებრივი თიხოვანი ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობით. ძირითადი ქანები ეროზიული ზედაპირიდან 1.00-2.00 მეტრის სიღრმემდე ძლიერ გამოფიტულია (ფენა 3), ხოლო შემდეგ გამოფიტვის ხარისხი მცირდება და გადადის გამოფიტულში (ფენა 4).

ქვიშაქვები მუქი ფერისაა, წვრილი და საშუალომარცვლოვანი, თხელშრეებრივი, თიხოვან ცემენტზე. არგილიტები მუქი ყავისფერი-მოშავო ფერისაა, ფირფიტისებრი აღნაგობის, თხელშრეებრივი, ისინი ქვიშაქვებთან ურთიერთმონაცვლეობენ, მათი შეფარდება გეოლოგიურ ჭრილში თითქმის თანაბარია, 50/50-ზეა ძირითადი ქანების წოლის ელემენტებია, მიმართების აზიმუტი: სამხრეთ-დასავლეთის 240^0, დახრის კუთხე $24\text{-}28^0$.

ზემოთაღწერილი ნალექები შურფ №1 და 2-ში, მიწის ზედაპირიდან 2.50 მეტრის სიღრმიდან, 3.50-5.60 მეტრის სიღრმემდე გადაფარულია დელუვიურ-პროლივიური (dpQIV) ნალექები, წარმოდგენილი ყავისფერი, ძირითადად ნახევრადმყარი (ერთი ნიმუში მყარი კონსისტენციისაა) კონსისტენციის, ხვინჭის და ღორღის იშვიათი მინარევიანი თიხნარებით (ფენა 2).

ყოველივე ზემოთაღნიშნილი ნალექები, ზემოდან გადაფარულია 1.50-2.50 მეტრის სიმძლავრის ტექნოგენური (t_{II}) გრუნტით, ნაყარით-თიხნარით სუსტად შეკავშირებული სამშენებლო ნაგავი, ხვინჭა, ღორღი (ფენა 1).

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო უბანი, გამოკვლეულ 5.0-9.00 მეტრის სიღრმემდე ხასიათდება გრუნტის წყლის არ არსებობით (დეკემბერი, 2018 წელი).

როგორც აღნიშნული იქნა შესავალ ნაწილში, უბანზე გავრცელებულ თიხოვან გრუნტებიდან, აღებული და ლაბორატორიულად შესწავლილი იქნა გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 5 ნიმუში (მონოლითი), რომელზედაც ლაბორატორიაში განისაზღვრა გრუნტის ფიზიკური მახასიათებლები.

ლაბორატორიული კვლევის შედეგები თან ერთვის წინამდებარე დასკვნას კრებსითი ცხრილის სახით.

ქვემოთ ცხრილ №1-ში, კრებსითი ცხრილიდან ამოკრეფილია თიხოვანი გრუნტის (ფენა 2) ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და მათი საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები.

ცხრილი 1

№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებული სიდიდეთა დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
1.	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	-	0.10-0.16	0.13
2.	ტენიანობა		W	%	13.6-21.0	18.7
3.	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ^3	1.95-2.09	1.99
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1.62-1.84	1.68
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2.72	2.72

4.	ფორიანობა	n	%	32.40	38
5.	ფორიანობის კოეფიციენტი	e	-	0.478-0.679	0.608
6.	დენადობის მაჩვენებელი	I_L	-	$\frac{0.03-0.16}{<0}$	$\frac{0.08}{<0}$
7.	ტენიანობის ხარისხი	S_r	-	0.73-0.78	0.76

ცხრილის თანახმად შესწავლილი ფენა 2-ის გრუნტი პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით თიხნარია ($\bar{I}_p = 0.13$), ძირითადად ნახევრადმყარი კონსისტენციის ($\bar{I}_L = 0.08$).

ტენიანობა $W = 13.6 - 21.0\%$ ($\overline{W} = 18.7\%$)-ის ფარგლებში მერყეობს, ფორიანობა $n = 32 - 40\%$ ($\bar{n} = 38\%$)-ის ფარგლებში, ფორიანობის კოეფიციენტის $\bar{e} = 0.618$-ის მნიშვნელობის დროს.

ტენიანობის ხარისხის მნიშვნელობა ნაკლებია კრიტერიუმ 0.80-ზე ($\bar{S}_r = 0.76 < 0.80$, რაც იმის მაჩვენებელია რომ გრუნტის ფორები ნაწილობრივ არის შევსებული წყლით.

ფენა 3-ის, ძლიერგამოფიტული ძირითადი ქანები ლაბორატორიულად არ დასინჯულა. წინა წლებში ჩატარებული კვლევების დროს ძლიერგამოფიტულ (სასტუმრო "ჰილსაად რეზიდენტის" მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული კვლევების დროს) ძირითად ქანებიდან აღებულ ნიმუშებზე ჩატარებული იქნა ლაბორატორიული კვლევები, მიღებულია შემდეგი მნიშვნელობები: სიმკვრივე $\rho - 2.12$ გ/სმ^3, სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_c - 3.8$ (38.0) მპა (კგძ/სმ^2).

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ფენა -4-ის, გამოფიტული ძირითად ქანებიდან აღებული და ლაბორატორიულად შესწავლილი იქნა დაურღვეველი სტრუქტურის 6 ნიმუში (მონოლითი).

ქანების ლაბორატორიული გამოცდა ჩატარდა სახსტანდარტის 5180-84 და 21153.2-84-ის მიხედვით, განსაზღვრულია სიმკვრივე, სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე, ჰაერმშრალი და წყალგაჯერებული მდგომარეობაში.

გამოთვლილია დარბილების კოეფიციენტი. სულ გამოცდა 6 ნიმუში. ქვემოთ ცხრილ 2-ში მოცემულია ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგები.

ცხრილი 2

№№	შურ. № და ნიმუშის აღების სიღრმე	სიმკვრივე ρ გ/სმ³	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე R_1 მპა		დარბილების კოეფიციენტი $K_3\ f$
			მშრალი	წყალგაჯერებული	
1	შ№1-7.0	2.35	34.8	20.9	0.60
2	შ№1-8.5	2.35	38.6	23.1	0.60
3	შ№2-6.50	2.36	42.4	25.4	0.60
4	შ№3-4.50	2.36	45.3	27.1	0.60
5	შ№3-5.50	2.37	46.9	28.6	0.61
6	შ№4-4.0	2.37	49.6	30.2	0.61
საშუალო		2.36	42.93	25.88	0.60

როგორც ცხრილიდან ჩანს ქვიშაქვების საშუალო სიმკვრივე ρ-2.36 გ/სმ³, სიმტკიცის ზღვარის საშუალო მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე, წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_c - 25.88$ მპა ტოლია, რაც სახსტანდარტი 251000-82 ცხრილი 3-ის თანახმად განეკუთვნება საშუალო სიმტკიცის გრუნტების ნაირსახეობას. გრუნტი დარბილებადია, ყველა მნიშვნელობა $K_s\ f < 0.75$-ზე ფენის გახსნის სიმძლავრე 3.0 მეტრია.

ფენის საანგარიშო მნიშვნელობების დასადგენად ჩატარებულია ლაბორატორიული კვლევების შედეგად მიღებული სიმტკიცის ზღვრის მაჩვენებლის (წყალგაჯერებულ პირობებში) სტატისტიკური დამუშავება, რომლის შედეგებიც მოცემულია ცხრილ 3-ში.

ცხრილი 3

№	R_c' (მპა)	R_c^o(მპა)	$R_c^o - R_c'$ (მპა)	$(R_c^o - R_c')^2$ (მპა)
1	20.9	25.88	4.98	24.80
2	23.1	25.88	2.78	7.73
3	25.4	25.88	0.48	0.23
4	27.1	25.88	-1.22	1.49
5	28.6	25.88	-2.72	7.40
6	30.2	25.88	-4.32	18.66
Σ	155.3	-	-	60.31

ნორმატიული მნიშვნელობა $R_c^\sigma = 155.3 : 6 = 25 \cdot 88$ მპა შემოწმება უხეშ შეცდომაზე $(R_c^ნ - R_c')$≤ν$ნ_{გად}$

როცა $n = 6$ $\nu = 2.07$

$$ნ_{გად} = \sqrt{\frac{1}{n}\sum_{i=1}^{n}(R_c^ნ - R_c')} = \sqrt{\frac{60 \cdot 31}{6}} = 3.17$$

ν$ნ_{გად}$=3.17×2.01=6.56

რადგანაც მოცემულ ცხრილში დაცულია პირობა $(R_c^ნ - R_c')$≤ν$ნ_{გად}$, ამიტომ R_c' ყველა მნიშვნელობა ვარგისია გაანგარიშებისათვის.

საშუალო კვადრატული გადახრა

$$\sigma = \sqrt{\frac{1}{n-1}\sum_{i=1}^{n}(R_c^ნ - R_c^{'})^2} = 3.47$$

ვარიაციის კოეფიციენტი

$$\nu = \frac{3.4}{2\ .8} = 0.13 \text{ ანუ } 13\%$$

გამოვთვალოთ R_c მნიშვნელობა პირველი ზღვრული მდგომარეობისათვის (ამტანუნარიანობის მიხედვით)

$\alpha = 0.95$ თუ $n - 1 = 6 - 1 = 5$ გვაქვს $t_\alpha = 2.01$

სიზუსტის მაჩვენებლები

$$\rho = \frac{t_\alpha \times \nu}{\sqrt{n}} = \frac{2.01 \times 0.13}{\sqrt{n}} = 0.11$$

გრუნტის უსაფრთხოების კოეფიციენტი

$$K_{\text{გ}} = \frac{1}{1 \pm \rho} = 1.15$$

სიმკვრივის მნიშვნელობები ტოლი იქნება

$$R'_c = \frac{R_c^{\text{ნ}}}{K_{\text{გ}}} = \frac{25.88}{1.15} = 22.50 \text{ მპა ანუ } 225 \text{ კგძ/სმ}^2$$

ვინაიდან ქვიშაქვების და არგილიტების რაოდენობა თანაბარია, ხოლო წყალში გამოცდისას არგილიტები იშლებიან, ფენის საშუალო საანგარიშო მნიშვნელობების მისაღებად გამოთვლილი $R'_c = 22.50$ უნდა შემცირდეს 50%-ით ანუ 11.25-ით, რაც 11.25 მპას-ს, 112.5 კგძ/სმ^2 ტოლია.

დასკვნები და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, გამოკვლეული უბანი დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან, როგორც სამშენებლო უბანზე, ისე მის მიმდებარე ტერიტორიაზე, რაიმე უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ შეიმჩნევა.

ს.ნ და წ 1.02.07-87 მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სამშენებლო უბანი მიეკუთვნება II კატეგორიას - საშუალო სირთულის.

2. სამშენებლო თვისებების მიხედვით, გამოკვლეულ უბანზე შეიძლება გამოვყოთ ორი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (ს.გ.ე.)

I ს.გ.ე - ძლიერგამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 3);

II ს.გ.ე - გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 4);

დელუვიურ-პროლივიური ნალექების თიხოვანი გრუნტის (ფენა 2) არათანაბარი და არაკანონზომიერი გავრცელების გამო მხედველობაში არ მიიღება (უნდა მოხსნას ქვაბულით).

3. გამოკვლეულ სამშენებლო მოედნის გეოლოგიური აგებულებიდან და დასაპროექტებელი სასტუმროს შენობა-ნაგებობის ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ფუძე გრუნტებად მიღებული უნდა იყოს II საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის - გამოფიტული ძირითადი ქანების გრუნტები (ფენა 4).

საძირკვლის ტიპად მიღებული იქნეს ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ჩვეულებრივი საძირკვლები - ლენტური, წერტილოვანი (ცალკემდგომი).

4. ქვემოთ მოცემულია ორივე საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის გრუნტების აუცილებელი საანგარიშო- ნორმატიული მნიშვნელობები მიღებული ლაბორატორიული კვლევის საარქივე მასალების, პნ 02.01-08 და აგრეთვე საცნობარო ლიტერატურის (დამპროექტებლის საანგარიშო თეორიული ცნობარი) საფუძველზე.

I სგე - ძლიერგამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 3)

სიმკვრივე $\rho = 2.12$ გ/სმ^3

სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_c = 3.8(38.0)$ მპა(კგძ/სმ^3);

საგების კოეფიციენტი $K - 10$ კგ/სმ^3;

პუასონის კოეფიციენტი μ-0.27

II სგე - გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 4)

სიმკვრივე $\rho = 2.36$ გ/სმ^3

სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_c = 11.25(112.5)$ მპა(კგძ/სმ^3);

საგების კოეფიციენტი $K - 100$ კგ/სმ^3;

პუასონის კოეფიციენტი μ-0.25

5. ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო უბანი გამოკვლეულ 5.0-9.0 მეტრის სიღრმემდე, ხასიათდება გრუნტის წყლის არ არსებობით (დეკემბერი, 2018 წელი).

6. თბილისში მშენებლობის პრაქტიკიდან გამომდინარე, ძირითად ქანების მოჭრისას, ადგილი შეიძლება ჰქონდეს ნაპრალოვანი წყლების

გამოვლინებას, რის შემთხვევაშიც ფილტრაციის კოეფიციენტი მიღებული იქნეს $K_ფ < 0.1$ ლ/კვ. მეტრის ტოლია.

7. მიწისქვეშა სართულის კედლების დასველების თავიდან აცილების მიზნით, უნდა მოხდეს მიწისქვეშა სართულის ჰიდროიზოლაცია და ჩატარდეს წყალამრიდი სამუშაოები.

8. პ.ნ 01.01-09-ის "სეისმომედეგი მშენებლობა" თანახმად ქ. თბილისი 8 ბალიან სეისმურობის ზონაშია. ამავე ნორმატიული დოკუმენტის ცხრილი 1-ის თანახმად, სამშენებლო მოედანი, სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას:

სამშენებლო მოედნის სეისმურობად მიღებულ იქნეს 8 ბალი.

9. ქვაბულის ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა, მიღებული იქნეს ს.ნ და წ 3.02.01-87-ის პ.პ. 3.11; 3.15 პუნქტების და აგრეთვე ს.ნ და წ III -4.80 მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10. დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები სნ და წ IV-2-82 I-I ცხრილის თანახმად მიეკუთვნებიან:

ა) ტექნოგენური გრუნტი, ნაყარი (ფენა 1) - სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას - II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით - 1800 კგ/მ^3 (რ№24ა).

ბ) თიხნარი (ფენა 2)) – ბულდოზერით II ჯგუფს, ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავებისას - III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1990 კგ/მ^3 (რ№33ბ).

გ) ძლიერგამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 3) - ხელით დამუშავებისას V ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2120 კგ/მ^3 (ვუტოლებთ 28ა).

დ) გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 4) - ხელით დამუშავებისას - VI ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2960 კგ/მ3 (ვუტოლებთ 28ა)

ინჟინერ გეოლოგი



ბ. დევდარიანი

სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი

ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის

განყოფილება საგამოცდო ლაბორატორია

(აკრედიტაციის მოწმობა $G \quad -T \quad -0071$)

სამუშაოს ანგარიში

ქ. თბილისი, ბოლო აღმართის ქუჩა №8, ნაკვეთი, საკადასტრო კოდი №01.15.05.088.001, სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე აღებული ქანის ნიმუშების კვლევის საფუძველზე

სამუშაოს ხელმძღვანელი,
განყოფილების უფროსი,
დოქტორი გ. ბალიაშვილი

თბილისი 2018 წ.

1. შედეგები მოცემულია ცხრილ 1-5-ში;

2. ნიმუშის წარმომავლობაზე ანგარიშის შემდგენელი პასუხს არ აგებს.

გამოყენებული სტანდარტი

1. ГОСТ 5180-84 გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდები;

2. ГОСТ 21153,2-84 სიმტკიცის განსაზღვრის მეთოდი ქანების ერთღერძა შეკუმშვაზე;

3. ГОСТ 28985-91 ქანების დეფორმაციული მახასიათებლების კვლევა ერთღერძა შეკუმშვაზე;

4. ГОСТ 25100-82 გრუნტების კლასიფიკაცია.

ცხრილი 1 - ქანის თვისებების საშუალო მნიშვნელობები

ნიმუშის №	ქანის სახეობა	შურფის №	სიღრმე, მ	სიმტკიცე მეგპა		დარბილების კოეფიციენტი	დრეკადობის მოდული, მეგპა (წყალნაჯერი ნიმუში)	სიმკვრივე გ/სმ³
				ოთახის ტემპერ.	წყალნაჯერი			
1	ქვიშაქვის და არგილითის შრეებრიობა	1	7.0	34,8	20,9	0,60	3262,0	2,35
2	ქვიშაქვის და არგილითის შრეებრიობა	1	8.5	38,6	23,1	0,60	3975,5	2,35
3	ქვიშაქვის და არგილითის შრეებრიობა	2	6.50	42,4	25,4	0,60	4230,4	2,36
4	ქვიშაქვის და არგილითის შრეებრიობა	3	450	45,3	27,1	0,60	4587,2	2,36
5	ქვიშაქვის და არგილითის შრეებრიობა	3	5.50	46,9	28,6	0,61	4893,0	2,37
6	ქვიშაქვის და არგილითის შრეებრიობა	4	4.0	49,6	30,2	0,61	5300,7	2,37

ცხრილი 2-ქანების კლასიფიკაცია ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მიხედვით

ნიმუშის №	სიმტკიცის მიხედვით (წყალნაჯერი)	სიმკვრივის მიხედვით	დარბილების მიხედვით
1	საშუალო სიმტკიცის[1]	მკვრივი[2]	დარბილებადი
2	საშუალო სიმტკიცის[1]	მკვრივი[2]	დარბილებადი
3	საშუალო სიმტკიცის[1]	მკვრივი[2]	დარბილებადი
4	საშუალო სიმტკიცის[1]	მკვრივი[2]	დარბილებადი
5	საშუალო სიმტკიცის[1]	მკვრივი[2]	დარბილებადი
6	საშუალო სიმტკიცის[1]	მკვრივი[2]	დარბილებადი

შენიშვნა: 1 - შვიდრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმტკიცის შემცირების მიხედვით მესამე რეიტინგის; 2- ოთხრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმკვრივის შემცირების მიხედვით მეორე რეიტინგის.

ცხრილი 3 - სიმკვრივე ნიმუშების მიხედვით

ნიმუშის №	გამოცდილი ნიმუშის						
	№	მასა გ			მოცულობა სმ^3		სიმკვრივე გ/სმ^3
		ჰაერში	პარაფინით		პარაფინის	ნიმუშის	
			ჰაერში	წყალში			
1	1	49,49	52,98	28,13	3,88	20,97	2,36
	2	46,98	50,62	26,50	4,04	20,08	2,34
2	1	47,59	51,42	26,83	4,25	20,34	2,34
	2	49,23	52,97	27,87	4,15	20,95	2,35
3	1	50,12	53,95	28,55	4,25	21,15	2,37
	2	48,69	52,77	27,52	4,53	20,72	2,35
4	1	50,02	54,41	28,25	4,88	21,29	2,35
	2	51,23	55,74	29,11	5,01	21,62	2,37
5	1	50,24	54,43	28,7	4,65	21,11	2,38
	2	48,53	52,12	27,57	3,99	20,56	2,36
6	1	49,56	53,17	28,34	4,01	20,82	2,38
	2	50,06	53,86	28,43	4,22	21,21	2,36

ცხრილი 4 ნიმუშების გამოცდა ერთღერძა შეკუმშვაზე, დრეკადობის მოდული

ნიმუშის №	გამოცდის ნიმუშის								
	№	სიგრძე სმ	დიამეტრი სმ	ფართობი სმ²	მასშტაბური კოეფიციენტი	მრღვევი ძალა კგძ	სიმტკიცე, მგპა	დრეკადობის მოდული, მგპა	მდგომარეობა გამოცდისას
1	1	18.23	9.21	66.59	1	22750	34.8		ოთახის ტემპერატურის
	2	17.58	9.22	66.73	1	13625	20.9	3262.0	წყალნაჯერი
2	1	16.15	9.22	66.73	1	25250	38.5		ოთახის ტემპერატურის
	2	18.02	9.23	66.88	1	15125	23.1	3975.5	წყალნაჯერი
3	1	18.04	9.24	67.02	1	27875	42.3		ოთახის ტემპერატურის
	2	18.57	9.24	67.02	1	16750	25.4	4230.4	წყალნაჯერი
4	1	18.25	9.18	66.15	1	29375	45.2		ოთახის ტემპერატურის
	2	18.23	9.18	66.15	1	17500	27.1	4587.2	წყალნაჯერი
5	1	19.01	9.11	65.15	1	30000	46.9		ოთახის ტემპერატურის
	2	19.03	9.12	65.29	1	18375	28.6	4893.0	წყალნაჯერი
6	1	18.54	9.15	65.72	1	32000	49.5		ოთახის ტემპერატურის
	2	18.36	9.16	65.87	1	19500	30.2	5300.7	წყალნაჯერი

ცხრილი 5 ნიმუშების გამოცდა დეფორმაციაზე

ნიმუში №1,2			ნიმუში №2,2			ნიმუში №3,2			ნიმუში №4,2			ნიმუში №5,2			ნიმუში №6,2		
F	I	II	F	I	II	F	I	II	F	I	II	F	I	II	F	I	II
0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
500	4	5	500	4	5	500	5	6	500	7	8	250	5	4	250	6	3
1000	5	6	1000	6	6	1000	6	7	1000	9	9	500	6	5	500	5	4
2000	7	8	2000	8	8	2000	7	9	2000	10	10	1000	7	6	1000	7	6
3000	9	9	3000	10	11	3000	8	10	3000	12	13	2000	8	8	2000	9	8
4000	17	17	4000	14	15	4000	12	14	4000	14	15	4000	20	20	4000	11	10
5000	25	25	5000	21	22	5000	16	18	5000	19	19	6000	32	32	6000	21	20
6000	33	33	6000	28	29	6000	23	24	6000	25	25	8000	44	44	8000	31	30
7000	41	42	7000	35	36	7000	30	30	7000	31	31	10000	56	56	10000	41	40
8000	48	51	8000	42	43	8000	37	36	8000	37	37	12000	68	68	12000	52	51
9000	56	60	9000	49	50	9000	44	43	9000	43	43	14000	80	80	14000	63	62
10000	65	69	10000	56	57	10000	51	50	10000	49	49	16000	93	92	16000	74	73
11000	74	75	11000	63	64	11000	58	57	11000	55	55	18000	106	105	18000	86	85
12000	93	85	12000	71	72	12000	65	64	12000	61	61	18375	120	119	19500	101	103
13000	103	95	13000	78	79	13000	73	72	13000	68	67						
13625	113	105	14000	87	88	14000	81	80	14000	75	74						
			15000	96	96	15000	90	89	15000	83	82						
			15155	106	106	16000	99	100	16000	91	90						
						16750	109	110	17000	100	99						
									17500	110	109						

შენიშვნა: F-ძალაა, კგძ I და II საათის ტიპის ინდიკატორის ჩვენებაა, დანაყოფი (ერთი დანაყოფი=0,01 მმ-ს).

გრუნტების ფიზიკური თვისებების კრებსითი ცხრილი
ბუნებრივ პირობებში/წყალგაჯერებულ მდგომარეობაში
ქ. თბილისი, ბოლო ალმართის ქუჩა, ნაკვეთი, ს/კ 01.15.05.088.001

№№	გამონამუშევრის ნომერი	ნიმუშის აღების სიღრმე	ლაბორატორიული ნომერი	სიმკვრივე	ჩონჩხის სიმკვრივე	ნაწილაკების სიმკვრივე	ბუნებრივი ტენიანობა	ფორიანობა	ფორიანობის კოეფიციენტი	ტენიანობა: დენადობის ზღვარზე	ტენიანობა: პლასტიკურობის ზღვარზე	ტენიანობა: პლასტიკურობის რიცხვი	კონსისტენცია	ტენიანობის ხარისხი	გრუნტის დასახელება
				ρ	ρd	ρs	W	n	e	W_L	Wp	Ip	I_L	Sr	
				გ/სმ³	გ/სმ³	გ/სმ³	%	%	ერთ. ნაწ.	ერთ. ნაწ.	ერთ. ნაწ.	ერთ. ნაწ.	ერთ. ნაწ.	ერთ. ნაწ.	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
1	შ№1	3.00		1.96	1.62	2.72	21.0	40	0.679	0.32	0.20	0.12	0.03	0.74	თიხნარი
2	შ№1	3.50		1.96	1.63	2.72	20.5	40	0.669	0.34	0.18	0.16	0.16	0.73	თიხნარი
3	შ№1	4.00		2.01	1.68	2.7	19.5	38	0.607	0.29	0.19	0.10	0.05	0.77	თიხნარი
4	შ№1	5.00		1.95	1.64	2.72	18.8	40	0.659	0.32	0.18	0.14	0.06	0.78	თიხნარი
5	ჭ№2	3.90		2.09	1.84	2.72	13.6	32	0.478	0.31	0.19	0.12	<0	0.77	თიხნარი

№1

ფენის №№	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 487.90	ჭრილი მ-ბი 1:100	კონსისტენცია /ტენიანობა/	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი გამ	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი დამ
1	0.00	2.50	2.50	485.40				
2	2.50	5.60	3.10	482.30		ნახევრადმყარი		
3	5.60	6.60	1.00	481.30				
4	6.60	9.00	2.40	478.90				

№2

ფენის №№	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 488.20	ჭრილი მ-ბი 1:100	კონსისტენცია /ტენიანობა/	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი გამ	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი დამ
1	0.00	2.50	2.50	485.70				
2	2.50	3.50	1.00	484.70		მყარი		
3	3.50	4.50	1.00	483.70				
4	4.50	7.00	2.50	481.20				

№3

ფენის №№	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 488.30	ჭრილი მ-ბი 1:100	კონსისტენცია /ტენიანობა/	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი გამ	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი დამ
1	0.00	2.00	2.00	486.30				
2	2.00	4.00	2.00	484.30				
3	4.00	6.00	2.00	482.30				

№4

ფენის №№	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული 488.40	ჭრილი მ-ბი 1:100	კონსისტენცია /ტენიანობა/	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი გამ	გრუნტის წყლის დონე და გაზომვის თარიღი დამ
1	0.00	1.50	1.50	486.90				
2	1.50	3.00	1.50	485.40				
3	3.00	5.00	2.00	483.40				

ჭრილი 1-2



გამონამუშევრების №№	№1	№2
მიწის ზედაპირის ნიშნული	487.90	488.20
მანძილი მ-ში	17.00	

პირობითი აღნიშვნები

tQIV — ტექნოგენური გრუნტი თიხნარით სუსტად შეკავშირებული, ხრეში, ხვინჭა, სამშენებლო ნაგავი

dQIV — თიხნარი, ყავისფერი, ხვინჭის და ღორღის იშვიათი მინარევით

ბრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუშის (მონოლითის) აღების სიღრმე

P_2^3 — ძირითადი ქანები – თხელძრეებრივი თიხოვანი ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული

P_2^3 — ძირითადი ქანები – თხელძრეებრივი თიხოვანი ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, გამოფიტული

ფურცელი №1

ჭრილი 3-4



ჭამონამუშევრების №№	შ№3	შ№4
მიწის ზედაპირის ნიშნული	488.30	488.40
მანძილი მ-ში	15.00	

ჭრილი 1-3



ჭამონამუშევრების №№	შ№1	შ№3
მიწის ზედაპირის ნიშნული	487.90	488.30
მანძილი მ-ში	20.00	

ჭრილი 2-4



გამონამუშევრების №№	№2	№4
მიწის ზედაპირის ნიშნული	488.20	488.40
მანძილი მ-ში	20.00	

ჭრილი №3

საექსპერტო შეფასება ანგარიშზე:
ქ. თბილისში, ბოლო აღმართის ქუჩა#8 არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.15.05.088.001) სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილი სამშენებლო მოედნის საინჟინრო- გეოლოგიური პირობების გამოკვლევა

შპს „ვიელ კონსალტინგის“ 405218722 თხოვნით ჩვენს მიერ 2019 წლის იანვარში შემოწმებულია ქ. თბილისში, ბოლო აღმართის ქუჩა#8 არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.15.05.088.001) სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ბოლო აღმართის ქუჩა#8 არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.15.05.088.001) სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისა და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ინდ. მეწარე „ზ. დევდარიანი“-ს მიერ 2018 წლის დეკემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი ბ. დევდარიანი. მის მიერ მოხდა: საკვლევი ტერიტორიის ვიზუალური შესწავლა, დამუშავდა რაიონის შესახებ არსებული ფონდური და ლიტერატურული მასალა. გრუნტის ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის განყოფილების საგამოცდო ლაბორატორიაში გ. ბალიაშვილის ხელმღვანელობით.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე..... 1 გვ;
2. საინჯინრო - გეოლოგიური დასკვნა..... 10 გვ;
3. გრუნტის კვლრვრბი კრებსითი ცხრილიმოედნის ტოპოგეგმა შურფების დატანით..... 1 ფურც;
4. ძირითადი ქანების კვლევების სამუშაო ანგარიში..... 4 ფურც;
5. ფოტომასალა..... 4 ფურც;
6. ტოპოგეგმა შურფების დატანით..... 1 ფურც;
7. განივი და გრძივი ჭრილები..... 3 ფურც.

პროექტი ითვალისწინებს ოთხსართულიან, სასტუმროს მშენებლობას სარდაფით. მიახლოებითი ზომებით გეგმაში 13,9X14.2X14.4 მ შენობა კარკასულია, ბლოკის შევსებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპს, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შემდეგ.

გეომორფოლოგიურად საკვლევი უბანი წარმოადგენს მტკვრის მარჯვენა ნაპირის II ჭალისზედა ტერასის ნაწილს, რომლის რელიეფიც ოდნავ დახრილია

ჩრდილოეთისკენ და რელიეფის აბსოლუტური საკვლევი უბნის ფარგლებში მერყეობენ 487,90-488,40 მეტრის დიაპაზონში.

სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის, მისი გეოლოგიური ჭრილებისა და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით, გაყვანილია 4 ჭაბურღილი, საერთო სიღრმით 27,0მ. ლაბორატორიული შესწავლისთვის შურფებიდან, სხვადასხვა სიღრმიდან აღებულია გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 11 ნიმუში (მონოლითი)

საველე, ფონდური და ლაბორატორიული მასალების განზოგადოების საფუძველზე, სამშენებლო მოედნის ფარგლებში გამოიყო შემდეგი ფენები:

1. **ფენა #1** - ტექნოგენური გრუნტი, ნაყარი თიხოვანი გრუნტით, სუსტად შეკავშიებული სამშენებლო ნაგავი, ღორღი ხვინჭა. ფენის სიმძლავრე 1,5–2,5მ.
2. **ფენა #2** -- თიხნარი, ყავისფერი ხვინჭის და ღორღის მინარევებით 30% მდე. ფენის სიმძლავრე 2,1 მ.
3. **ფენა #3 და #4 - სგე II** - ძირითადი ქანები, თხელ და საშუალო შრეებრივი, თიხოვანი ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა გამოფიტული (#3) და ნაკლებად გამოფიტული (#4) ფენის სიმძლავრე 3,5 – 4,0 მ.

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება, მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ საკვლევ უბანზე გრუნტის წყლები გაყვანილ სამთო გამონამუშევრებში არ დაფიქსირებულა.

საკვლევი ტერიტორია განეკუთვნება 8-ბალიან სეისმურ რაიონს, ხოლო სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0,16.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სამშენებლო რაიონი მიეკუთვნება I I მარტივი სირთულის კატეგორიას. საკვლევ უბანზე რაიმე ტიპის გეოდინამიკური (ფიზიკურ-გეოლოგიური) მოვლენა, ან პროცესი არ ფიქსირდება. საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მშენებლობასა და საცხორებელი სახლის შემდგომ ექსპლოატაციას, მოსალოდნელი არ არის.

დასკვნა

ქ. თბილისში, ბოლო აღმართის ქუჩა#8 არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ

01.15.05.088.001) სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. დასასრულს ავღნიშნავთ რომ, წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო- გეოლოგიურ ნაწილში.

გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი,პროფესორი:



/ია მშვიდობაძე/

CV - მშვიდობაძე ია

გვარი, სახელი, მამის სახელი	მშვიდობაძე ია ნოელის ასული
მისამართი და ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, იოსებიძის №57, ბ.7; ტელ.: 599 45 03 30
დაბადების თარიღი	1962 წლის 21 ოქტომბერი
განათლება	1979 წელს დავამთავრე ქ.თბილისის 58-ე სა'შ. სკოლა;
	1984 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით
მინიჭებული კვალიფიკაცია	2003 წელს გეოლოგია მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (დიპლომი) 2019 წლიდან საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1984 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების" მიმართულების პროფესორი; 2003-2008 წლებში სამშენებლო კომპანია "იმკ-91" მშენებელ-ინჟინერი. 2018 წლიდან შპს "რეალექსპერტი"-ს ექსპერტი გეოლოგიის დარგში.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებული მაქვს **25 სამეცნიერო შრომა; სახელმძღვანელოები:** "საინჟინრო ნაგებობები" -2011წ; "ჰიდროტექნიკური მშენებლობა" 2016; მეთოდური მითითება "შენობა-ნაგებობათა ტექნიკური ექსპლოატაცია (ცვეთის ანგარიში)"; "მეთოდური მითითება გრუნტების მექანიკის ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად" 2018; "შენობა ნაგებობების ტექნიკური ექსპლოატაცია" 2018. **შესწავლილი და ანგარიში დაწერილი მაქვს** : "ქ.თბილისში, თემქის დასახლება'ში, XI მ/რ-ნი, III კვარტალი A კორპუსის მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა" - 2015წელი; "ქ. გორ'ში, რკინიგზის სადგურის დასახლება'ში მარაბდელის ჭუჩის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"; "ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. №103-ში ამხანაგობა "დადიანის 103"-ის საკუთრება'ში არსებულ №064/009 ნაკვეთ'ზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი" ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"; ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში შპს ალდა ჯგუფის საკუთრება'ში არსებულ №035/796 ნაკვეთ'ზე მრავალსართულიანი (მიწისქვეშა ავტოსადგომით) საცხოვრებელი სახლის პროექტის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში"; "ქ. თბილისში, უშანგი ჩხეიძის ქ.№ 20-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბან'ზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში და დასკვნა-რეკომენდაციები"; "ბათუმ'ში მელიქიშვილის ქ.90-ში ს/კ05.27.46.023 7 სართულიანი სახლის მშენებლობასთან დაკავ'შირებით სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშის საექსპერტო დასკვნა"-2018წ;ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ძირაგეულ'ში, კოოპერატივ „ალავა'ის" ღვინის ქარხნის მშენებლობისათვის, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ძიების ტექნიკური ანგარი'ში 2018წ;ქ. თბილისში, ოჟიოს ჭუჩა'ზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის (ს.კ. 01.10.13.033.923; 01.10.13.033.119; 01.10.13.033.118; 01.10.13.033.366) წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა 2018წ; ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონ'ში, რკინიგზის ჩიხი №20, ნაკვ. №01.19.21.002.186 საწარმოო-სასაწყობე შენობის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა 2018წ; „ქ.თბილისში, ბაგების სტუდქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ, საცხოვრებელი კომპლექსი "ოდა"-ს საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარი'ში" 2018წ;"ქ. თბილისში, ტ. ტაბიძის ქ.№90-ში, 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"2018წ;"ქ. ბათუმში, დასახლება ანგისასა და დასახლება ადლიაში (ს/კ 05.32.12.050) 15 სართულიანი სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა,2019წ.ქ.თბილისში, ლისის ტბასა და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ჭუჩის მიმდებარედ 11 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა 2019; „ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, IV მკრ. კორპუსი №424 მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.39.002.065 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა."2019;"ქ. ბათუმში, კახაბრის დასახლებაში, აეროპორტის გზატკეცილი 241ა (ს/კ 05.32.24.074) 4 სართულიან სასტუმროზე 2 სართული დაშენებისა და 2 მ სიგანის ფართის მიშენებისათვის სამშენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები"2019. საექსპერტო შეფასება ანგარი'შ'ე: „ხაშუალა" ჰესის კასკადის სამშენებლო მოედნის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა 2019წ.გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.12.11.697) მარცვლეულის შესანახი სასილოსე ნაგებობების მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა 2020.ქ. თბილისში, ვაზისუბნის, III მკრ. II კვ. კორ. №16-ის მიმდებარედ, ნაკვეთ'ზე ს/კ 01.17.07.011/068 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობასთან დაკავ'შირებით, მოედან'ზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები2020. „ ქალაქ ამბროლაურ'ში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №15-ში, ნაკვ. №86.19.28.071 საწყობის შენობის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"2020
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით; გერმანული - ლექსიკონის დახმარებით

Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო



სახელი / FIRST NAME
ია
IA
გვარი / LAST NAME
მშვიდობაძე
MSHVIDOBADZE
მოქ. / CIT | სქესი / SEX | პირადი No / PERSONAL No
GEO | მდ / F | 01024023058
დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH | მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY
21.10.1962 | 02.11.2022
ბარათის No / CARD No
12IB83718
ხელმოწერა
SIGNATURE

GEO



დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
გაგრა
GAGRA
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
02.11.2012
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 01/12
სფს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE012IB83718501024023058<<<<
6210216F2211020GEO<<<<<<<<<<<3
MSHVIDOBADZE<<IA<<<<<<<<<<<<<<

მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი

№ 003745

თბილისი, 2003 წლის სექტემბერი

საქართველოს მეტნიერებათა ეროვნული აკადემიის ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის

G 04.06 №5 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით

(ოქმი № 3 28.05.2003)

ილ ჟვანიას

მიენიჭა გეოლოგია-მინერალოგიის 04.00.07,

მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დიპლომი გასცა საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭომ

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

ბ. ა.

სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე

Diploma of a Candidate of Sciences

№ 003745

Tbilisi, September 2003

Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Academy of Sciences

By decision of the Dissertation Board G 04.06 №5

(Protocol № 3 of 28.05.2003)

THE DEGREE OF A CANDIDATE OF SCIENCES

Geological - Mineralogical 04.00.07,

WAS CONFERRED ON

Ia Mshvidobadze

On the grounds of this decision the diploma has been issued by the Board of Academic Experts of Georgia

Chairman of the Dissertation Board

(Seal)

Chairman of the Board of Academic Exsperts G. Kharadze

დიპლომი

ЛВ № 055149

ეს დიპლომი მიეცა ნაზის ასულ მშვიდობაძეს

მასზე, რომ იგი 1979 წელს შევიდა

საქართველოს ვ.ი.ლენინის სახელობის

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1984 წელს დაამთავრა

აღნიშნული

ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით

სამრეწველო და სამოქალაქო

მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1984 წ.

„28" ივნისის გადაწყვეტილებით

ი.ნ. მშვიდობაძეს მიენიჭა ინჟინერ-

მშენებლის

კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1984 „1" X

სარეგისტრაციო № 1677

Грузинский яз.

ДИПЛОМ

ЛВ № 055149

Настоящий диплом выдан Мшвидобадзе Ие Назиевне

в том, что она в 1979 году поступила в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1984 году окончила полный курс названного института

по специальности промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от „28" июня 1984 г.

Мшвидобадзе И.Н.

присвоена квалификация инженера строителя.

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „1" X 1984 г.

Регистрационный № 1677

Московская типография Гознака. 1983.

ბოლოს აღმართი №8

(წინასაპროექტო ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა)

საპროექტო ტერიტორია სოლოლაკში ბოლოს აღმართის №8-ში მდებარეობს. საკვლევი უნბნის ქუჩების ქსელის განვითარება სოლოლაკის ქედის დასავლეთ კალთებზე XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან დაიწყო და დღევანდელი სახით ის XX საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდა.



ხედი მთაწმინდიდან საკვლევ უბნზე – 2014 წლის ფოტო.

წარსულში სოლოლაკის ტერიტორიის დიდი ნაწილი სამეფო ბაღებს ეკავა. ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის გეგმაზე, იქ სადაც კოჯრის გზა რკალს ხაზავს თბილელის ბაღი იყო. ბაღები თანდათანობით მას შემდეგ გაიჩეხა, რაც უბნის განაშენიანება დაიწყო.

1820-30-იანი წლებიდან მზარდი ქალაქი უშუალოდ მიებჯინა სოლოლაკის ბაღებს. 1844 წლის რუკაზე სოლოლაკის ხეობაში, სადაც ჩვენთვის საინტერესო ნაკვეთი მდებარეობს, ქაოტურად გაშენებული სოფლური ტიპის დასახლებაა.

1867 წლის რუკაზე სოლოლაკის ხეობაში სურათი არსებითად არ შეცვლილა - განაშენიანება კვლავ სტიქიურია, თუმცა ამაღლებისა და კოჯრის ქუჩები უკვე

ჩამოყალიბებულია - მათ შესაყართან დგას “ამაღლების” ეკლესია. ამ დროიდან იწყრბა ქალაქური ტიპის პირველი მშენებლობა სოლოლაკის ხეობაშიც, თუმცა დღეს ძველი შენობების მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი – სახეცვლილი საცხოვრებელი სახლები შეიცავს ძველი ქვის წყობას, ხის აივნების მცირე დეტალებს და ა.შ. 1902 წლის რუკაზე ამაღლების ქუჩის ჩრდილოეთით მდებარე ფერდზე ქუჩების ქსელი, სხვადასხვა ზომის ურბანული ერთეულები, სახლებისა და ეზოების კვარტალშიდა სტრუქტურა უკვე გამოკვეთილია და თითქმის შეესაბამება დღევანდელს.



ვახუშტის 1735 წლის რუკა.



1902 წლის თბილისის რუკა.



1867 წლის თბილისის რუკა.



1902 წლის თბილისის რუკა.

მთაწმინდის ციცაბო კალთებში მოქცეული ქუჩები დაგეგმარებისა და განაშენიანების ხასიათის თვალსაზრისით, რამდენადმე ქაოტურია და მოკლებულია არქიტექტურულ-გეგმარებით ორგანიზებულობას. ისინი ვიწრო და უსისტემოდ მიხვეულ-მოხვეული აღმართების სახასიათო ქსელს ქმნის, შენობები ზოგან ტერასულად ვითარდება. ქუჩების კამერული ხასიათი ამ ბუნებრივი რელიეფით ნაკარნახევ უწესრიგობაშიც ნარჩუნდება. ჯერ კიდევ არსებული შიდა ეზოები და ბაღები, რომლებიც საკვლევი უბნის ღირებული ნაწილია, თანდათან კარგავს სრულყოფილ ფუნქციურ დატვირთვას.

ბოლოს აღმართი ქალაქს XIX საუკუნეში შეუერთდა და ამაღლების ქუჩის ერთ-ერთ განშტოებად ჩამოყალიბდა. მისი ქვედა მონაკვეთი წავკისის ქუჩის პარალელურად მიემართება, შემდეგ მკვეთრად უხვევს და მთის ფერდობამდე აღწევს. თავიდან მას განაპირა აღმართი (“კრაინი პოდიომი”) ერქვა. ასეა აღნიშნული 1902 წლის რუკაზე. გამგეობის მიერ 1903 წელს შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია, როგორც ოქროყანის ბილიკი.



საკვლევი მიკროუბნის საერთო ხედი. XX საუკუნის დასაწყისის ფოტო.

როგორც ითქვა, საკვლევი კვარტალი თავიდან სოფლური ტიპის დასახლებას წარმოადგენდა. მისი გეგმარებითი სტრუქტურა რთულმა ლანდშაფტმა

განსაზღვრა – მომცრო სახლები მორგებული იყო ხეობის რელიეფზე, ბევრი მათგანი ბუნებრივ ტერასებზე იყო აგებული. თანდათან "ხეობის" განაშენიანებამაც ქალაქურთან მიახლოებული ხასიათი შეიძინა, გაიზარდა შენობების სართულიანობაც - ძველი, შედარებით პატარა შენობები უფრო მოზრდილმა სახლებმა ჩაანაცვლა. დღეს ბოლოს აღმართის ურბანულ გარემოს XX საუკუნის სხვადასხვა ათწლეულის რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და მომცრო უსახური მოცულობები ქმნის. პირველი მსხვილგაბარიტიანი შენობები აქ ბოლო წლებში აშენდა, რამაც უბნის მასშტაბიც შეცვალა. რამდენიმე წლის წინ ამაღლების ქუჩის ბოლოს – ზუსტად საპროექტო ნაკვეთის მოპირდაპირედ, მრავალსართულიანი შენობა ჩაიდგა, რომლის ტლანქი მოცულობა შემოჭრილია მიმდებარე ქუჩების ვიზუალურ არეალში და მნიშვნელოვნად ცვლის ძველი განაშენიანების მასშტაბს.



შენობა ამაღლების ქუჩისა და ბოლოს აღმართის შესაყართან.

აღნიშნული შენობის უკან სულ რამდენიმე ნაგებობისაგან შემდგარი დასახლებაა მოქცეული. ბოლო წლების სამშენებლო აქტივობის შედეგად აქაც გაჩნდა ძველი განაშენიანების მასშტაბთან შეუსაბამო მოცულობები, რამაც მიკროუბნის განაშენიანების კონტექსტიც დაარღვია, რაც არქიტექტურისა და ბუნებრივი რელიეფის ორგანულობაში გამოიხატებოდა. შეიქმნა შეუსაბამობა მსხვილმასშტაბიან შენობებსა და კამერულ განაშენიანებას შორის.



ახალი შენობები ბოლოს აღმართის განაშენიანებაში.

ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში კი გარემო თვალშისაცემად შეიცვალა. შეუქცევადი სახე აქვს უბნის მასშტაბის გამსხვილების პროცესს.

საპროექტო ტერიტორია და მიმდებარე განაშენიანება

საკვლევი კვარტალი თავიდანვე საცხოვრებელ უბნად ჩამოყალიბდა. მისი გეგმარებითი სტრუქტურა, "გარეთუბნის" ცენტრალური ნაწილისაგან განსხვავებით, რთულმა ლანდშაფტმა განსაზღვრა. ბოლოს აღმართი რელიეფს თავისუფლად მისდევს. ქუჩა განსხვავებული სიმაღლის, XX საუკუნის სხვასასხვა ათწლეულში აგებული საცხოვრებელი სახლებით არის გაშენებული. ძველი სახლები უმეტესად სახეცვლილია გვიანდროინდელი მიშენება-გადაკეთებების შედეგად. ზოგიერთი, მდარე არქიტექტურული სახის მიუხედავად, ყურადღებას იქცევს რელიეფზე კარგად მორგებული გეგმარებით. ბოლო

ათწლეულებში აგებული სახლები შედარებით მსხვილგაბარიტიანია, გვხვდება “ბარაკული” ტიპის ნაგებობებიც. საკვლევი ტერიტორიის არეალში არც ერთი ღირებული შენობა არ არის. ოდნავ მოშორებით – ფერდის სიღრმეში ყურადღებას იქცევს ძველი სახლები ხის აჟურული აივნების ფრაგმენტებით.



საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე გარემო.



გაცილებით ღირებული შენობები გვხვდება მიმდებარე ქუჩებზე - ზოგიერთ მათგანს შერჩენილი აქვს ძველი აივნები. წავკისის ქუჩის და შესახვევის განაშენიანებაში, რომელიც ბოლოს აღმართს კვეთს, უკეთაა დაცული თავდაპირველი სრტუქტურა - გვხვდება XX საუკუნის დასაწყისისა და შუა პერიოდის აგურის, ეზოსებისკენ აივნებით გახსნილი შენობები. მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია თბილისური საცხოვრებელი არქიტექტურისთვის დამახასიათებელი აუთენტური სამშენებლო მასალა – ხე და აგური. გვხვდება

XX საუკუნის დასაწყისის კარგი ნიმუშებიც (წავკისის შეს. №4/8). ბოლო წლებში განხორციელებული სამშენებლო აქტივობის შედეგად აქაც გაჩნდა ახალი შენობები, რამაც ძველი განაშენიანების მასშტაბი მკვეთრად შეცვალა.



წავკისის ქუჩა.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიას, რომელიც ბოლო აღმართის №8-ში მდებარეობს, წარმოადგენს 450 კვ/მ. ფართობი გაუნაშენებელი ნაკვეთს. ის ქუჩის წინა ხაზზე, იმ მონაკვეთში მდებარეობს, სადაც გზა მკვეთრად უხვევს და ზედა ტერასისკენ მიემართება. ნაკვეთი სამი მხრიდან არის მოსაზღვრული – ცალ მხარეს ნაკვეთს ბოლოს აღმართის №10-ის ეზოს მომსაზღვრელი ქვის ყრუ გალავანი და ხელოვნური სუბსტრუქცია საზღვრავს, რომელიც ზედა ნიშნულზე მდებარე წავკისის ქუჩის განაშენიანებას ეკუთვნის. მეორე მხარეს კი №6 ორსართულიანი სახლის აგურით ამოყვანილი ზურგის კედელი. ზურგის მხრიდან კი წავკისის ქ. №10 - ახლად აგებული სახლის, ასევე მთლიანად ყრუ ზურგი ემიჯნება. ნაკვეთი ქუჩას ჭიშკრით უკავშირდებოდა, რომლის მხოლოდ ცალი ფრთაა შენარჩუნებული.

ბოლოს აღმართის №6, რომელიც საპროექტო ტერიტორიას ცალი მხრიდან ესაზღვრება, ორსართულიანი, აგურით ნაშენი ძველი საცხოვრებელი სახლია, თუმცა ძალიან სახეცვლილი, მიშენებული მოცულობები სავსებით უსახურია. მას ღირებულებას სძენს რელიეფზე კარგად მორგებული გეგმარება, უბნის

მასშტაბთან შესატყვისობა და თავდაპირველი სივრცითი კონტექსტი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ის ძველი განაშენიანების ნაწილია.



ბოლოს აღმართი №8 – საპროექტო ტერიტორია.

წავკისის შესახვევსა და ბოლოს აღმართის გადაკვეთასთან ორსართულიანი მანსარდით დასრულებული სასტუმროს შენობა დგას, რომელიც მონაწილეობს ქუჩის საერთო არქიტექტურული სახის შექმნაში. მისი სართულანობა რელიეფის მიხედვით იცვლება. მიუხედავად სივრცეში მოცულობების დანაწევრის მცდელობისა, კომპოზიცია ქაოტურია. ორივე ფასადს შვერილი კარნიზები და სეგმენტური პარაპეტები შემოსდევს. შენობა ნალესობით არის დაფარული და შეღებილია მოვარდისფროდ. ქუჩის პირას მდგარი შენობები ერთმანეთისგან სადა ჭიშკრებით არის გამიჯნული, რაც მათ შორის სივრცითი უბეებს ქმნის. ეს

ალბათ ერთად-ერთი დეტალია, რელიეფს თავისუფლად მორგებულ სტრუქტურებთან ერთად, რაც ამ მიკრო-კვარტალში ძველი განაშენიანების "მეხსიერებას" ინარჩუნებს. თავად შენობებს, როგორც ითქვა, მხატვრული ღირებულება არ გააჩნიათ.



ბოლოს აღმართი №6 და №2.



წავკისის ქ. №10 – დღეს და 2014 წლის ფოტოზე.

ტერიტორიის ზურგის ნაწილი წავკისის ქუჩისკენ გადის. რელიეფის ნიშნულების მკვეთრი სხვაობის გამო, განაშენიანება აქ ტერასულია. წავკისისა და ბოლოს აღმართის დონეებს შორისაც დიდი სხვაობა წარმოიქმნება. ამ მკვეთრად განსხვავებული დონეების გამო რელიეფი დიდ როლს თამაშობს განაშენიანების სტრუქტურის ფორმირებაში. საპროექტო ტერიტორიის გვერდის ხაზი, რომელსაც

წავკისის ქუჩის შენობა – წავკისის ქ. №10 - ესაზღვრება, ხელოვნური სუბსტრუქციით არის გამაგრებული.

დასკვნა და რეკომენდაციები

ბოლოს აღმართის დაგეგმარებას თავისუფალი ხასიათი აქვს და მოკლებულია სისტემურობას - ვიწრო და მრუდად განვითარებული აღმართის ქვედა მონაკვეთის განაშენიანება ქუჩის ხაზს მისდევს, ხოლო ფერდის მიმდებარედ ტერასულად ვითარდება.



ხედი მთაწმინდიდან საკვლევ უბნზე – 2014 წლის ფოტო.

ბოლოს აღმართის №8-ში მდებარე ნაკვეთი რამდენიმე წელია ცარიელია. საპროექტო წინადადებით განზრახულია აქ ახალი შენობის აგება. ამგვარი ჩარევა დასაშვებია – მის მიმდებარე გარემოს ღირებულება და ჩამოყალიბებული არქიტექტურული კონტექსტი არ გააჩნიათ. წამყვანი ამ მიკროუბანში ლანდშაფტის თავისებურებაა, თუმცა ტერიტორიაზე ხელახალი მშენებლობისას გასათვალისწინებელია რიგი გარემოებები:

- საპროექტო და უშუალოდ მის მიმდებარე ტერიტორიას არ გააჩნია ჩამოყალიბებული არქიტექტურული კონტექსტი. შესაბამისად, ამოსავალი აქ განაშენიანების მასშტაბია. ახალმა შენობამ უნდა შეავსოს განაშენიანებაში ნგრევის შედეგად გაჩენილი სიცარიელე და გააუმჯობესოს დეგრადირებული გარემო.
- მისაღებია „თანამედროვე“ სტრუქტურის შერწყმა არსებულ გარემოსთან. შესაძლებელია ახალი შენობის არქიტექტურაში, თბილისისთვის დამახასიათებელი სამშენებლო მასალის - ხისა და აგურის – გამოყენება, თუკი პროქტირებისას თავიდან იქნება აცილებული ფსევდო-გამომსახველობა, „თბილისური სტილის“ მექანიკური გამეორება და სხვა; ან შენობის საფასადო სახისთვის უნდა შეირჩეს არააქტიური, სადა კომპოზიცია. არასასურველია მინის დიდი სიბრტყეების გამოყენება.
- შენობის გეგმარებისას გათვალისწინებელი უნდა იყოს ნაგებობის განთავსებითი და სივრცითი კონტექსტი – ამ ადგილას ქუჩის ხაზი მკვეთრად უხვევს და, ამავე დროს, იცვლება რელიეფის ნიშნულები წავკისის ქუჩასთან მიმართებაში. მნიშვნელოვანია, რომ ახალი შენობის მასა არ ამოიზარდოს განაშენიანებიდან, განსაკუთრებით წავკისის ქუჩის განაშენიანების დონეზე.
- გათვალისწინებული უნდა იქნას აქაურობისათვის დამახასიათებელი ლანდშაფტური გარემო, როგორც გადამწყვეტი ფაქტორი განაშენიანების გეგმარებითი სტრუქტურის შემუშავებისას. საკვლევ მიკროუბანზე ხედი სოლოლაკის ქედიდანაც იშლება, თუმცა საპროექტო ტერიტორია თვალთახედვის არეში აქტიურად არ ხვდება – მას მაღლივი შენობები ჩრდილავს. აქ შემდგომი განაშენიანებისას, ანგარიში უნდა გაეწიოს მთის ფერდებს შორის მოქცეული ხეობის თავისებურებებს – არათანაბარი რელიეფით დანაწევრებულ სივრცით სტრუქტურას, ნაკვეთების დონეებს შორის რელიეფის სხვაობას და ა.შ.
- ასევე, მნიშვნელოვანია ამ მიკრო-უბნის მნიშვნელოვანი კომპონენტის, ეზოს შენარჩუნება და ახალი მოცულობის ქუჩასთან ორგანულად

დაკავშირება. დამკვეთს უნდა ეთხოვოს ეზოს, როგორც განაშენიანების სტრუქტურული ელემენტის შენარჩუნება.

- მშენებლობისას გასათვალისწინებელია ინფრასტრუქტურის საინჟინრო-ტექნიკური სისტემის და წინ გამავალი გზის კეთილმოწყობა - შეძლებისდაგვარად უნდა მოწესრიგდეს საფეხმავლო ნაწილი.
- ყურადღება უნდა მიექცეს მიკრო-კვარტალის განაშენიანების საერთო ხასიათს. ზოგადად, ამ ტიპის უბნებში, სადაც თანდათანობით იშლება ზღვარი თავდაპირველ და ახალ მშენებლობებს შორის, პროექტირება ერთიანი ქალაქგეგმარებითი ხედვის ფარგლებში უნდა ხორციელდებოდეს.

ხელოვნებათმცოდნე

მარინა ხატიაშვილი

ქ. თბილისი, ბოლო აღმართის ქუჩა №8 ს/კ 01.15.05.088.001 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი

კონსტრუქციული ნაწილი

თბილისი 2020 წელი

№	დასახელება	ფურც. №
1	თავფურცელი	კ-0
2	განმარტებითი ბარათი	კ-1
3	მასალების ამოკრეფა	კ-1-1
4	ქვაბულის გეგმა	კ-1-2
5	შპუნტების განლაგება	კ-1-3
6	შპუნტების ჭრილი 1-1	კ-1-4
7	შპუნტი შ-1	კ-1-5
8	შპუნტების ჭრილი 2-2	კ-1-6
9	დახრილი შპუნტების განშლა	კ-1-7
10	შპუნტი შ-2	კ-1-8
11	საძირკვლის ფილის გეგმა; საყალიბე ნახაზი	კ-2
12	საძირკვლის ფილის გეგმა; ძირითადი არმირება	კ-3
13	საძირკვლის ფილის გეგმა; დამატებითი არმირება ქვედა ზონაში	კ-4
14	დამატებითი არმიება ქვედა ზონაში ბადეები ბ-1 და ბ-2	კ-5
15	საძირკვლის ფილის გეგმა; დამატებითი არმირება ზედა ზონაში X ღერძის მიმართულებით	კ-6
16	საძირკვლის ფილის გეგმა; დამატებითი არმირება ზედა ზონაში Y ღერძის მიმართულებით	კ-7
17	საძირკვლის ფილის კვეთი 1-1 და 2-2; მასალის სპეციფიკაცია	კ-8
18	ლიფტის შახტის საძირკვლის კვეთი 3-3	კ-9
19	კოლონების ანკერების განლაგება	კ-10
20	ანკერი ა-1	კ-11
21	ანკერი ა-2	კ-12
22	სარდაფის კედლების ანკერების განლაგება	კ-13
23	სარდაფის კედლის ანკერი	კ-14
24	სარდაფის კედლების განლაგება	კ-15
25	სარდაფის კედლის კვეთი 1-1; მასალის სპეციფიკაცია	კ-16
26	კოლონების განლაგება -3.20 ნიშნულზე	კ-17
27	კოლონა კ-1	კ-18
28	კოლონა კ-2	კ-19
29	კოლონა კ-3	კ-20
30	კოლონების განლაგება 0.00 ნიშნულებზე	კ-21
31	კოლონა კ-4	კ-22
32	კოლონა კ-5	კ-23
33	კოლონების განლაგება 3.50; 6.70 ნიშნულებზე	კ-24
34	კოლონების განლაგება 9.90 ნიშნულებზე	კ-24-1
35	კოლონა კ-6	კ-25
36	კოლონა კ-7	კ-26
37	კოლონა კ-10	კ-26-1
38	კოლონების განლაგება 13.10 ნიშნულზე	კ-27
39	კოლონა კ-8	კ-28
40	კოლონა კ-9	კ-29
41	გადახურვის ფილა 0.00 ნიშნულზე; საყალიბე ნახაზი	კ-30
42	გადახურვის ფილა 0.00 ნიშნულზე; ძირითადი არმირება	კ-31
43	გადახურვის ფილა 0.00 ნიშნულზე; დამატებითი არმირება ქვედა ზონაში X ღერძის მიმართულებით	კ-32
44	გადახურვის ფილა 0.00 ნიშნულზე; დამატებითი არმირება ქვედა ზონაში Y ღერძის მიმართულებით	კ-33
45	გადახურვის ფილა 0.00 ნიშნულზე; დამატებითი არმირება ზედა ზონაში	კ-34
46	გადახურვის ფილა 3.50; 6.70; 9.90 ნიშნულზე; საყალიბე ნახაზი	კ-35
47	გადახურვის ფილა 3.50; 6.70; 9.90 ნიშნულზე; ძირითადი არმირება	კ-36
48	გადახურვის ფილა 3.50; 6.70; 9.90 ნიშნულზე; დამატებითი არმირება ქვედა ზონაში X ღერძის მიმართულებით	კ-37
49	გადახურვის ფილა 3.50; 6.70; 9.90 ნიშნულზე; დამატებითი არმირება ქვედა ზონაში Y ღერძის მიმართულებით	კ-38
50	გადახურვის ფილა 3.50; 6.70; 9.90 ნიშნულზე; დამატებითი არმირება ზედა ზონაში	კ-39
51	გადახურვის ფილა 13.10 ნიშნულზე; საყალიბე ნახაზი	კ-40
52	გადახურვის ფილა 13.10 ნიშნულზე; ძირითადი არმირება	კ-41
53	გადახურვის ფილა 13.10 ნიშნულზე; დამატებითი არმირება ქვედა ზონაში X ღერძის მიმართულებით	კ-42
54	გადახურვის ფილა 13.10 ნიშნულზე; დამატებითი არმირება ქვედა ზონაში Y ღერძის მიმართულებით	კ-43
55	გადახურვის ფილა 13.10 ნიშნულზე; დამატებითი არმირება ზედა ზონაში	კ-44
56	გადახურვის ფილა 15.40 ნიშნულზე; საყალიბე ნახაზი	კ-45
57	გადახურვის ფილა 15.40 ნიშნულზე; ძირითადი არმირება	კ-46
58	დამატებითი არმირება ზედა ზონაში; ბადეები ბ-1 და ბ-2	კ-47
59	გადახურვის ფილის კვეთი და მასალის სპეციფიკაცია	კ-48
60	რიგელები რ-1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 12, 17	კ-49
61	რიგელები რ-9, 10, 11, 13, 14, 15, 16, 18	კ-50
62	რიგელების კვეთი 1-1, 2-2	კ-51
63	რიგელების კვეთი 3-3, 4-4	კ-52
64	რიგელების კვანძები	კ-53
65	რიგელების მასალის სპეციფიკაცია	კ-54
66	კიბე №1; გეგმა	კ-55
67	კიბე №1; ჭრილი 1-1 3.20 მ. სართულზე	კ-56
68	კიბე №1; ჭრილი 1-1 3.50 მ. სართულზე	კ-57

ქ. თბილისი, ბოლო აღმართის ქუჩა №8 ს/კ 01.15.05.088.001 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული პროექტი (კორექტირებული)				სტადია	ფურც.	რაოდ
					კ-0	
დირექტორი	თ. მურვანიძე				შ.პ.ს. "არძიკოლებიშმი"	
პრ. მთ. არქიტ.	თ. მურვანიძე					
პრ. მთ. ინჟინ.	რ. სილაგაძე		თავფურცელი	მასშტაბი		
შეასრულა	დ. მაისურაძე					
შეამოწმა	რ. სილაგაძე					

განმარტებითი ბარათი

წინამდებარე პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია არქიტექტურული-გეგმარებითი გადაწყვეტისა და საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე შენობა დაფუძნებულია ძირითად ქანებზე, რომლის საანგარიშო მონაცემებია: სიმკვრივე – 2.36 გ/სმ^3; სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_c = 11.25(112.5)$ მპა(კგძ/სმ^3); საგების კოეფიციენტი $K - 100$ კგ/სმ^3; პუასონის კოეფიციენტი μ-0.25.
შენობა დაფუძნებულია რკინაბეტონის მონოლითური ფილის გამოყენებით.

სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით, სამშენებლო მოედანი განეკუთვნება 8 ბალიან სეისმოაქტივობის ზონას MSK64 შკალის მიხედვით.

ანგარიში შესრულებულია კომპლექსური პროგრამა Lira Sapr 2013-ის გამოყენებით პნ 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა" მოთხოვნათა საფუძველზე.

კონსტრუქციული ელემენტები

საძირკველი – რკინაბეტონის მონოლითური ფილა სისქით 500 მმ; ბეტონი კლასით B25; არმატურა A500C და A240.

კოლონები – მონოლითური რკინაბეტონი კვეთით 40X40 სმ და 900X300 სმ; ბეტონი კლასით B25; არმატურა A500C და A240.

სარდაფის კედლები - მონოლითური რკინაბეტონი სისქით 20 სმ; ბეტონი კლასით B25; არმატურა A500C და A240.

რიგელები – მონოლითური რკინაბეტონი კვეთით 40X50 სმ; 30X50 სმ; 25X50 სმ; 20X50 სმ ფილის სისქესთან ერთად; ბეტონი კლასით B25; არმატურა A500C და A240.

გადახურვის ფილები – მონოლითური რკინაბეტონი სისქით 20 სმ; ბეტონი კლასით B25; არმატურა A500C და A240.

კედლების შევსება და ტიხრები – წვრილი საკედლე ბლოკი მოცულობითი წონით არაუმეტეს 1000 კგ/მ^3

ქ. თბილისი, ბოლო აღმართის ქუჩა №8 ს/კ 01.15.05.088.001 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული პროექტი (კორექტირებული)				სტადია	ფურც.	რაოდ
					კ-1	
დირექტორი	თ. მურვანიძე				შ.პ.ს. "არძიკოლებიშმი"	
პრ. მთ. არქიტ.	თ. მურვანიძე					
პრ. მთ. ინჟინ.	რ. სილაგაძე		განმარტებითი ბარათი	მასშტაბი		
შეასრულა	დ. მაისურაძე					
შეამოწმა	რ. სილაგაძე					

№	დასახელება	არმატურა A500C				A240	ბეტონი მ³	
		10	12	20	25	8	B15	B25
1	საძირკვლის ფილა		5914.89	1450			20.50	102.50
2	ანკერები		717.75	42.25	711.48	41.12		
3	კოლონები			675	5572.8	989.92		36.38
4	სარდაფის კედლები		3118.5			106.8		29.70
5	რიგელები			10521		2396.6		53.58
